შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№47 (9.712)

19-26 დეკემბერი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

საქართველოს „ღორის გრიპი“ ისევ უტევს

გვ.7

წინასაახალწლო განწყობა

გვ.4

გვ.3

ბიუჯეტი დამტკიცდა

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, – **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი:** „2016 წლის ბიუჯეტი, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ 2015 წელთან შედარებით გაუმჯობესებულია და არის სოციალურად ორიენტირებული.“

C ჰეპატიტის პრევენცია ორგანიზებულია

გვ.5

ფრთხილად! ელექტრობოძები ამორტიზებულია

გვ.6

საქართველო ევროპასთან უვიზოდ მიმოსვლის სამზადისში



გვ.2

ევროკომისიას მიაჩნია, რომ სავიზო ლიბერალიზაციის გეგმის ოთხივე ნაწილში საქართველოს მიერ განხორციელებული პროცედურები შეესაბამება ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს.

ირაკლი ღარიბაშვილი: „დღეს ჩვენი ქვეყნისთვის და მისი თითოეული მოქალაქისთვის ისტორიული დღეა. ევროინტეგრაციის გზაზე საქართველომ გადადგა ნაბიჯი, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს ჩვენ მომავალს ევროპულ სახელმწიფოთა ერთიან ოჯახში.“

ცვლილებები „ფეისბუქში“ - რა „ემუქრება“ მათ, ვინც გამოგონილი სახელით რეგისტრირდება

გვ.2

მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად **საახალწლო კალენდარს.** თუ გსურთ, თქვენი ბავშვის ფოტო განთავსდეს 2016 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინეთ ის 24 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში. შეგახსენებთ, რომ კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება. მაგრამ, თუ, ერთ ფოტოში ორი, ან მეტი ბავშვი იქნება - 20 ლარი.

იჩქარეთ, რაოდენობა შეზღუდულია!!!

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2016 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

C M Y K

საქართველო ევროპასთან უვიზოდ მიმოსვლის სამზადისში

ევროკომისიამ ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიში ევროპული კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე დაიდო. დოკუმენტი საქართველოს შესახებ დადებით შეფასებებს შეიცავს. კონკრეტულად, მასში ნათქვამია, რომ საქართველომ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ყველა ვალდებულება შეასრულა.

ევროკომისიას მიაჩნია, რომ სავიზო ლიბერალიზაციის გეგმის ოთხივე ნაწილში საქართველოს მიერ განხორციელებული პროცედურები შეესაბამება ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს.

ეს არის ევროკომისიის ბოლო, რიგით მეოთხე ანგარიში საქართველოს მიერ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით.

როგორც ირკვევა, ევროკომისია საქართველოსთან უვიზო რეჟიმის დაწესების მიზნით რეგულაციაში ცვლილებების შეტანის საკითხზე ევროკავშირის საბჭოს საკანონმდებლო წინადადებას 2016 წლის დასაწყისში წარუდგენს.

ანგარიშში, რომელიც ევროპული პარლამენტისთვის და ევროპული საბჭოსთვის რეკომენდაციებს შეიცავს, "კომისია მიიჩნევს, რომ საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია და გაატარა ყველა საჭირო რეფორმა დანარჩენი მოთხოვნების ეფექტური და მდგრადი მიღწევის უზრუნველსაყოფად".

"ყველა ზომა, რომელიც მესამე მოხსენებაში იყო ჩამოთვლილი, მიღებულია. საკანონმდებლო და პოლიტიკური ბაზა, ინსტიტუციური და საორანიზაციო პრინციპები, ასევე ოთხივე ბლოკის განხორციელების პროცედურების იმპლეემტანცია შეესაბამება ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს", - ნათქვამია ანგარიშში.

ამ შეფასების საფუძველზე, ასევე 2012 წლის ივნისში ევროკავშირი-საქართველოს ვიზალიბერალიზაციის დიალოგის დაწყების მომენტიდან მიმდინარე მონიტორინგისა და ანგარიშების შედეგების გათვალისწინებით, კომისიას მიაჩნია, რომ საქართველო აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, სამოქმედო გეგმის მეორე ეტაპის 4 ბლოკთან მიმართებაში.

„ევროკავშირი - საქართველოს შორის არსებული ურთიერთობის გათვალისწინებით, კომისია 2016 წლის დასაწყისში წარადგენს საკანონმდებლო წინადადებას ევროკავშირის საბჭოს №539/2001 რეგულაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

კომისია კვლავ გააგრძელებს საქართველოს მიერ სამოქმედო გეგმის ოთხივე ბლოკის ფარგლებში ყველა მოთხოვნის შესრულების აქტიურ მონიტორინგს, არსებული სტრუქტურებისა



და დიალოგების საშუალებით და საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საკონტროლო მექანიზმებით", - აღნიშნულია ანგარიშში.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, ანგარიშთან დაკავშირებით განაცხადა:

"მივესალმები ევროკომისიის ანგარიშს ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც სრულად ასახავს იმ პროგრესს, რომელსაც საქართველომ ბოლო სამი წლის განმავლობაში მიაღწია.

საქართველოს მთავრობამ და ხელისუფლებამ დიდი ძალისხმევით უმოკლეს ვადებში შეძლო სრულად დაეკმაყოფილებინა ყველა ის მოთხოვნა, რასაც სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა. ამ ერთიანობამ ქვეყანას მოუტანა ის შედეგი, რომელიც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი მოქალაქეების ევროკავშირის ქვეყნებში თავისუფალი გადაადგილებისათვის.

დღეიდან ჩვენ წინ გველის ფრიად საპასუხისმგებლო პროცესი, რომელიც ევროკავშირის მიერ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებით უნდა დაგვირგვინდეს, რომელიც ოფიციალურად გახსნის ევროკავშირის საზღვრებს საქართველოს მოქალაქეებისათვის.

ჩვენი ამოცანაა ღირსეულად გავიაროთ ეს პროცესი და ძალისხმევა არ დავიშუროთ დასახული მიზნის მაქსიმალურად მოკლე ვადებში მისაღწევად".

რას ნიშნავს უვიზო რეჟიმი? - რისი გაკეთების უფლება გექნებათ და არ გექნებათ ევროპაში

უვიზო რეჟიმი შესაძლებლობას აძლევს საქართველოს მოქალაქეებს, ვიზის გარეშე ხანმოკლე დროით გაემგზავრონ შენგენის ზონის ქვეყნებში. ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში 90 დღით ყოფნის შემდეგ, საქართველოს მოქალაქემ უნდა დატოვოს ამ ქვეყნის ტერიტორია. ევროკავშირის/ შენგენის ქვეყნებში მომდევნო ჩასვლა შესაძლებელი იქნება მომდევნო 90 დღის გასვლის შემდეგ.

უვიზო რეჟიმი გულისხმობს თრავისუფალ გადაადგილებას შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელის მოიცავს: ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას,ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას,შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანას.

საქართველოს მოქალაქეები ვალდებულნი არიან დაიცვან: შენგენის ქვეყნებში შესვლისა და ყოფნის წესები; ადგილობრივი კანონმდებლობა; საავტომობილო მოძრაობის წესები; საზოგადოებრივი წესრიგი; სამართალდარღვევის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქე დაექვემდებარება დეპორტაციას ან/და დაეკისრება პასუხისმგებლობა კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, რასაც ყოველთვის მოსდევს ქვეყანაში შესვლის აკრძალვა 5 წლამდე ვადით (იხილეთ ვიდეო)

მგზავრობის მიზნის დასადასტურებლად საზღვარზე უნდა წარმოადგინოთ შემდეგი სახის საბუთები:

ტურიზმი და დასვენება:

- უკან დასაბრუნებელი სამგზავრო ბილეთი
- სასტუმროს ჯავშანი;
- სამოგზაურო დაზღვევა;
- მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი. (ნაღდი ფული, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები და ა.შ.) ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული თანხა არ აღემატება დღეში 50 ევროს სასტუმროს ჯავშნის არსებობისას.

მონაწილეობა კონფერენციებში, სემინარებში,საქმიან შეხვედრებში და ა.შ.

ღონისძიების/კონფერენციის, სემინარის მოწვევა/ პროგრამა;

- სასტუმროს ჯავშანი;
- სამოგზაურო დაზღვევა
- უკან დასაბრუნებელი ბილეთი;
- მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი. (ნაღდი ფული, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები და ა.შ.) ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული თანხა არ აღემატება დღეში 50 ევროს სასტუმროს ჯავშნის არსებობისას.

ნათესავების,მეგობრების მონახულება

- მიმღები პირის საკონტაქტო მონაცემები (მისამართი, ტელეფონის ნომერი და სხვ.);
- იმ პირის ბინადრობის ნებართვის ან შესაბამის ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ასლი, რომლის მოსანახულებლადაც მიემგზავრებით;
- სამოგზაურო დაზღვევა;
- უკან დასაბრუნებელი ბილეთი;
- მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნაღდი ფული, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები და ა.შ.).

მკურნალობა

- სამედიცინო დაწესებულების თანხმობა
- რეკომენდაცია, ჩაიტაროთ შესაბამისი მკურნალობა ევროკავშირის წევრ-ქვეყანაში;.
- სამედიცინო დაზღვევა მგზავრობის მთელი პერიოდისთვის;
- უკან დასაბრუნებელი ბილეთი;
- მგზავრობისა და მკურნალობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი (თანხა ნაღდი სახით, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები, გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი და ა.შ.).

ცვლილებები „ფეისბუქში" - რა „ემუქრება" მათ, ვინც გამოგონილი სახელით რეგისტრირდება

"ფეისბუქზე" "ნამდვილი სახელის" პოლიტიკა კიდევ უფრო აქტიურ ფაზაში ჩაეშვა. დარეგისტრირებულ მომხმარებლებს კომპანია სთხოვს, რომ ნამდვილი სახელებით დარეგისტრირდნენ.

გუშინ "ფეისბუქის" ოფიციალურ ბლოგში შემდეგი წერილი გამოქვეყნდა: "ჩვენ ვითხოვთ, რომ ხალხმა გამოიყენოს ის სახელები, რომლითაც მათი მეგობრები და ოჯახის წევრები იცნობენ. ჩვენ ბოლომდე გავატარებთ ამ პოლიტიკას და არ შევცვლით. მას შემდეგ, რაც დავაკვირდით მომხმარებლების გამოხმაურებას, გავაცნობიერეთ, რომ აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ ამ პოლიტიკამ ყველასთვის თანაბრად იმუშაოს, განსაკუთრებით მარგინალიზებული და დისკრიმინირებული თემებისთვის".

ორი დიდი ცვლილება ასე გამოიყურება:

1. თუ ხედავთ, რომ ვინმეს ნამდვილი სახელი არ აქვს მითითებული და

არეპორტებთ მას, მოგიწევთ დამატებითი ინფორმაციის მითითება, თუ რატომ არეპორტებთ ამ სახელს. "დამატებითი კონტექსტი დაგვეხმარება, უკეთ გავიგოთ რატომ ხდება სახელის დარეპორტება და სპეციფიკურ სიტუაციაზე კონკრეტული ინფორმაცია გვექნება" - ნათქვამია ფეისბუქის ბლოგპოსტში.

2. თუ ფეისბუქ-სახელი არ ემთხვევა თქვენს რეალურ სახელს, შესაძლებელია ახსნათ იმ სპეციალური გარემოების შესახებ, რატომაც გსურთ ამ სახელის ტარება. თუ ეს მიზეზი სერიოზული ხასიათის იქნება, ფეისბუქი უფლებას დაგრთავთ, დაიტოვოთ არაავთენტური სახელი.

ამჟამად, სოციალურ ქსელში აქტიურად მუშაობენ ყალბი სახელებით დარეგისტრირებული მომხმარებლების გამოსააშკარავებლად. თუ თქვენ რეალური სახელით არ ხართ დარეგისტრირებული, იძულებული იქნებით წარადგინოთ ოფიციალური საბუთი საკუთარი სახელის დასადასტურებლად. "ფეისბუქი" ერთკვირიან ვადას იძლევა, სანამ დაამტკიცებთ საკუთარი სახელის ავთენტურობას.

"ნამდვილი სახელის" პოლიტიკაში ცვლილებები ჯერ კიდევ წინაა.

მომზადებულია
www.techinsider.io-ს **მიხედვით**.

ირაკლი ღარიბაშვილი-ევროკომისიის ანგარიში არის პრინციპული თანხმობა უვიზო მიმოსვლაზე

პრემიერის თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ შეასრულა ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებები და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისთვის საჭირო ყველა რეფორმა სრულყოფილად განახორციელა.

საქართველოს პრემიერ მინისტრი საქართველოსთან ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ დადებით დასკვნას გამოეხმაურა. ირაკლი ღარიბაშვილი თქმით 18 დეკემბერი საქართველოსთვის ისტორიული დღეა, რადგან ევროკავშირმა აღაირა საქართველოს განუყრელი ერთგულება ევროპული ფასეულობებისადმი:

„დღეს ჩვენი ქვეყნისთვის და მისი თითოეული მოქალაქისთვის ისტორიული დღეა. ევროინტეგრაციის გზაზე საქართველომ გადადგა ნაბიჯი, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს ჩვენ მომავალს ევროპულ სახელმწიფოთა ერთიან ოჯახში. ცოტა ხნის წინ ევროკომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში, საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით. კომისიამ ცალსახად განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შეასრულა ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებები და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისთვის საჭირო ყველა რეფორმა სრულყოფილად განხორციელდა. ეს არის პრინციპული თანხმობა უვიზო მიმოსვლაზე, სწორედ წარმატებული რეფორმების შედეგად ჩვენ მივაღწიეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას და ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური შეფასება ვიზალიბერალიზაციის გზაზე თავისუფალი, ძლიერი და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შენების ურყევ საფუძველს კიდევ უფრო განამტკიცებს. კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე მომდევნო წლიდან საქართველოს მოქალაქეებს უნდა მიეცეთ ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობა. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ მოქალაქეები ხვალვე აიღებენ ბილეთებს და ევროპაში უვიზოდ გაემგზავრებიან, რადგან საბოლოო გადაწყვეტილებამდე გასავლელი არის გარკვეული ეტაპები, რაც სხვა ქვეყნების გამოცდილებით რამდენიმე თვეს მოიცავს. თუმცა, დღეს ამ პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, ევროკავშირმა ფაქტობრივად აღაირა ჩვენი განუყრელი ერთგულება ევროპული ფასეულობებისადმი, საქართველოს წინსვლა ევროპული ფასეულობებისკენ, სწრაფვის გზაზე ის თანმიმდევრული ძალისხმევა, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ გასწია, რეფორმების სწრაფად და ეფექტიანად განსახორციელებლად. ამ შრომამ ევროპელი კოლეგების ძალიან მაღალი შეფასებები დაიმსახურა, ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყანათა შორის ვართ ლიდერი სახელმწიფო. დღეს ჩვენ თანამედროვეთა და წინაპრების ოცნება ავიხდინეთ. ამ ისტორიული გადაწყვეტილებით ქვეყნის განვითარების ახალი ეტაპი იწყება, საქართველოს წინაშე სრულიად ახალი შესაძლებლობები ისახება, ევროპელებთან ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება, ყველა დონეზე ურთიერთობათა გაღრმავება, ქალაქების დაძმობილება, სტუდენტური და სამოქალაქო გაცვლითი პროგრამები, ევროპის ასოციაციებში გაწევრიანება, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობა. ჩვენი მოქალაქეები შეძლებენ ევროკავშირის ქვეყნებში, ნახევარი წლის განმავლობაში, 90 დღით უვიზოდ შესვლას.“- აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ბიუჯეტი დამტკიცდა

დედოფლისწყაროს მთავარი ფინანსური დოკუმენტი დამტკიცებულია. 17 დეკემბერს, 11 საათზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა. ბიუჯეტის პროექტი საზოგადოებას განსახილველად წარუდგინა საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა. სწორედ საჯარო განხილვაზე გაირკვა ადგილობრივი ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები: 2016 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 4 665 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო ხარჯვითი ნაწილი- 5 829 ათასი ლარით. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელისუფლებამ მომავალი წლის პრიორიტეტულ მიმართულებად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა განსაზღვრა. ამისათვის 2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 689 ათას ლარზე მეტი დაიხარჯება. ბიუჯეტის პრიორიტეტებია ასევე: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია. სკოლამდელი განათლების დაფინანსება 200 000 ლარითაა გაზრდილი 2015 წელთან შედარებით, გაზრდილია აგრეთვე მსოციალური პაკეტიც. მნიშვნელოვანი სიახლეა უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა კვების საკითხშიც-მათი კვების ხარჯები გაზრდილია 220 ათასი ლარით, რაც საშუალებას მისცემს უფასო სასადილოს, ბენეფიციარების კვების ხარისხის გასაუმჯობესებლად გაყინული ხორცი შეცვალოს ახლით.

საჯარო განხილვაზე დაგეგმილ პრიორიტეტებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი, გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნუგზარ პაპიაშვილი და საკრებულოს საფინანსო და საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე სოსო ჯამასპიშვილი პასუხობდნენ.

ბიუჯეტის საჯარო განხილვის შემდეგ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს წევრებმა მორიგ სხდომაზე დაამტკიცეს.

დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტი საბიუჯეტო წლის განმავლობაში გაიზრდება. მნიშვნელოვანი ცვლილება კი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფას შეეხება.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი: „2016 წლის ბიუჯეტი, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ 2015 წელთან შედარებით გაუმჯობესებულია და არის სოციალურად ორიენტირებული. რაში გამოიხატება ეს კონკრეტულად? გაუმჯობესდა საბავშვო ბაღების დაფინანსება- 1 მილიონი ლარიდან გაიზარდა 1 200 000 ლარამდე, დედოფლისწყაროს 17 -ივე ბაღში მოხდება სამზარეულოების რემონტი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისობაში მათი მოყვანა, ასევე გაიზარდა სათნოების სახლის დაფინანსება. თუ აქამდე ბენეფიციარებისთვის შედიოდა გაყინული ხორცი, მომავალი წლიდან მას ახალი ხორცი ჩაანაცვლებს. თქვენ ალბათ ნახავდით გამოქვეყნებულ კვლევას, რომლის თანახმადაც კახეთის რეგიონში სათნოების სახლის ბენეფიციართთათვის ყველაზე მეტ თანხას სწორედ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი ხარჯავს. ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნება სოციალურ პაკეტში, რომელსაც გამგეობა ახორციელებს. გაიზრდება დაფინანსება და უფრო მრავლისმომცველი გახდება ჩვენი მოსახლეობისთვის და ეს ყველაფერი იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ ჩვენი ბიუჯეტი უფრო მეტად იქნება მორგებული მოსახლეობაზე, მეტად სოციალურად ორიენტირებული იქნება.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომლების ანაზღაურებას, არაფერი არ იცვლება და რჩება უცვლელი. გარდა სოციალური საკითხებისა, მეტი ყურადღება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას მიექცევა-მომავალი წლის გაზაფხულზე ახალი საავადმყოფოს გახსნა მოხდება და საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია კეთილმოეწყობა, დაიგება ასფალტის საფარი, გაკეთდება გარე განათება.

საავადმყოფოს მშენებლობის ძირითადი სამუშაოები დასრულებულია, იანვრის შუა რიცხვებში ოფიციალურად მოხდება მისი ჩაბარება, ჯანდაცვის სამინისტრო პარალელურ რეჟიმში უკვე მის აღჭურვაზე ზრუნავს და ტენდერები აქვს გამოცხადებული. მოგეხსენებათ, რომ აღჭურვილობის ნაწილი ამერიკის შეერთებული შტატების საჩუქარია, გარდა ამ საჩუქრისა, შევა ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი,ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ნაყიდი აპარატურა.

ქ. დედოფლისწყაროში დარჩენილია ქუჩები, რომელთა ასფალტის საფარიც საკმაოდ ცუდ მდგომარეობაშია. ამ ქუჩების რეაბილიტაციაც აუცილებლად მოხდება 2016 წელს და გარე განათებაც მოეწყობა.

2016 წელს დაგეგმილია, ასევე, ახალი საბავშვო ბაღების გახსნა სოფლებში: არხილოსკალოსა და ფიროსმანში. მას შემდეგ, რაც სააღმზრდელო დაწესებულებებში პირობები გაუმჯობესდა, ბავშვთა კონტიგენტი საგრძნობლად გაიზარდა.

დედოფლისწყაროს წყალმომარაგების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით კონკრეტული ქმედებები უკვე დაიწყო. წყალმომარაგების კომპანია იწყებს სამუშაოებს და მათი დასრულების შემდეგ, გაზაფხულისთვის, წყლის დეფიციტი აღარ შეაწუხებს ქალაქის მოსახლეობას.

მომავალი წლის ბიუჯეტი საგრძნობლად გაუმჯობესებულია და ჯამში ის გაზრდილია 400 000 ლარამდე სოციალური კუთხით, რაც, დამეთანხმებით, ცოტა თანხა არ არის. მიხარია, რომ ჩვენი ბიუჯეტი წლიდანწლამდე იხვეწება და შეძლებისდაგვარად იზრდება. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ნებისმიერი ერთი პრობლემის მოგვარების შემდეგ თავს იჩენს სხვა პრობლემა, თანაც ცხოვრება ვითარდება, მოსახლეობაც ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე დგება და ჩვენც ვცდილობთ, ვუპასუხოთ და ფეხდაფეხ მივყვეთ ახალ გამოწვევებს“.

ინგა შიოლაშვილი

წინასაახალწლო განწყობა მოქალაქეებში

წითელი მაიმუნის წელი მოდის, მალე 2016 წელი მალე შემოგვიღებს კარს და ჩვენც გასული ანალიზით და ახალი სურვილებით ავწევთ ჭიქას და დავილოცებით. ჩვენი გაზეთი კი ცდილობს, წინასწარ შეგიქმნათ საახალწლო განწყობა, იმედი და ღვთის წყალობა გისურვოთ და იმ ადამიანების შეფასებები და სამომავლო სურვილები გაგაცნოთ, ვინც ჩვენი საზოგადოებისთვის კარგადაა ნაცნობი. თუმცა ახალი სახეებიც იქნებიან. ვნახოთ, რას ფიქრობენ ისინი:



სალომე ნატროშვილი, **იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის მრჩეველი.**- „ახალ წელს, როგორც წესი, ოჯახში ვხვდები და მერე მივდივარ მეგობრებთან, საერთოდ, მიყვარს ცოცხალი მუსიკა ღია ცის ქვეშ, რაც ყველაზე უკეთეს განწყობას მიქმნის, ნებისმიერ დღესასწაულზე. ველოდები თავისუფალი მიმოსვლის ამოქმედებას ევროკავშირთან. ეს იქნება ახალი შესაძლებლობა, მთლიანად ქვეყნისთვის და რაც მთვარია, სტერეოტიპების და მითების მოსპობის შესაძლებლობა დასავლურ საზოგადოებაზე, რის დანერგვასაც აქტიურად ცდილობენ რუსული "რბილი ძალები"! პროგრესის მოლოდინი და იმედი მაქვს. და კიდევ, ჩემი აზრით, ნებისმიერი წინსვლა უნდა იყოს საზოგადო და საყოველთაო, წინააღმდეგ შემთხვევაში, პირადი კომფორტი არ იქნება საკმარისი. ეს არ არის პათეტიკა, გულწრფელად ასე ვფიქრობ."

ნონა ჯიბღაშვილი, **კულტურის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი.**-„ მოგესალმებით, მთელს სამყაროს და სრულიად საქართველოს ვულოცავ შობა-ახლ წელს. ეს 2015 წელი პირადად ჩემთვის და ჩემი თანამშრომლებისთვის ნაყოფიერი და შემოქმედებითად დატვირთული იყო დასაწყისიდან დღემდე და მადლობა მინდა ვუთხრა ყველა მათგანს და უფალს ყველაფრისთვის. ვეფერები ყველა შემოქმედ ადამიანს. მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ყველა ღონისძიების მხარდაჭერისთვის. მადლობა ჩემი ოჯახის წევრებს, ჩემს მოუცლელობას რომ იტანენ და მხარში მიდგანან, მინდა ყველა მათგანს ბედნიერება და ჯანმრთელობა ვუსურვო. ქრისტეშობის მადლმა გაანათოს ყველა ოჯახი! მშვიდობა და ბარაქა მინდა ვუსურვო ჩემს ქართველ ერს! დაგლოცოთ უფალმა!"

ლია კვაჭაძე, **საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი.** -„მადლობა უფალს, რომ ამ წელსაც მშვიდობით გავაცილებთ. თუ, რამე საფრთხე არსებობს მსოფლიოში, უპირველესად მშვიდობას ემუქრება და ამ დაძაბული სიტუაციის ფონზე დიდი დიპლომატიაა საჭირო, რომ მშვიდობა შვინარჩუნოთ. საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ამ ამოცანის შესასრულებლად. 2015 წელს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ბევრი პოზიტივი შეინიშნება-ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგალითისთვის აბრეშუმის გზის ამოქმედება და ვიზალიბერალიზაციის საკითხიც საკმარისია. მე მჯერა ჩვენი კუთხის ღირსეული შვილის, ახალგაზრდა, ნიჭიერი და მიზანდასახული პატრიოტის, ჩვენი პრემიერის! მისი მთავრობა, ხალხის მხარდაჭერით, კვლავაც უამრავ სასიკეთო საქმეს გააკეთებს.

მაკა ბიკაშვილი, **გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტი.** -„ჩემთვის საკმაოდ ნაყოფიერი წელი იყო. ბევრი წარმატება და სიახლეები მქონდა, რაც მთავარია, სტუდენტობის პარალელურად ვმუშაობ და სტაჟიორი ვარ. ქვეყნისთვის რაც შეეხება, ვთვლი, რომ ასევე ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა და ვისურვებდი კიდევ უფრო მეტ სიახლეებს და წარმატებებს, როგორც ქვეყნისთვის, ასევე ჩემი პროფესიისთვის. კიდევ, მინდა, რომ ყველა ახალგაზრდამ იპოვოს საკუთარი მე საკუთარ თავში და მიიღოს პროფესიული თვალსაზრისით რეალიზება. მთავრობის მისამართით ვიტყვი, რომ კარგი იქნება, თუ კადრები მცოდნე ადამიანებით შეივსება და ყველა მათგანის შრომა საკადრისად იქნება დაფასებული, ისე, როგორც ამას იმსახურებს. მიეცეს მაღალპროფესიული განათლება ადამიანებს.

ნინო სეფიაშვილი, **სტუდენტი**,- „2015 წელი ძალიან დატვირთული და სიახლეებით სავსე იყო, სკოლა დავამთავრე, გამოცდები ჩავაბარე, ახლა სტუდენტის ვარ. ამ ყველაფრის ფონზე თითქოს მოვწყდი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და სიახლეებს, რადგან მოუცლელობის გამო ვეღარ ვეცნობი ინფორმაციებს, თუმცა, რა აუცილებელია, როგორც ჩვენს ქვეყანაშია პოლიტიკური ცხოვრებით დაინტერესებული ხალხი, ასე ალბათ არცერთ ქვეყანაში არაა, ყველა ადამიანი თავისი საქმით და ცხოვრებით უნდა იყოს დაინტერესებული, მთავრობამ კი ყველა პირობა უნდა შეუქმნას ადამიანებს, ნორმალურ გარემოში იცხოვრონ. მე ვგულისხმობ როგორც ეკონომიურ პირობებს, ასევე სიტყვის თავისუფლებას და სხვა ინტელექტუალური ღირებულებების დაფასებას. ის, რაც ტელეეთერის საშუალებით მცირე რამ მაინც მოვისმინე ვაკეთებ შეფასებას, რომ 2015-ში იყო დადებითი მოვლენებიც, მაგრამ არც უარყოფითი იყო მცირე. იმედია, 2016 წელს იმ უამრავი პრობლემის მოგვარება დაიწყება, რაც დღეს ჩვენს ქვეყანას აქვს."

თაკო წიკლაური, **პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე**, - „ტრადიციულად მთელი ოჯახი ერთად ვხვდებით ახალწელს, თუმცა, სამწუხაროდ უკვე მეხუთე წელია, სხვის ჭერქვეშ ვცხოვრობთ, რაც ძალიან მტკივნეულია. ვისურვებდი, 2016 წელი ჩემი და ჩემი ოჯახისთვის, ასევე ყველა უსახლკაროსთვის, ყოფილიყოს ოცნებების ასრულების წელი. ბედნიერების, სიკეთის და სიხარულის მომტანი ყოფილიყოს 2016 წელი. ხვავი,ბარაქა და უფლის წყალობა არ მოჰკლებოდეს სრულიად საქართველოს."

მარინე ჭუმბურიძე, **ემიგრანტი, პოეტი**,- „ემიგრანტი დედისთვის, რომელსაც არ ძალუძს სამშობლოში დაბრუნება, არც ახალ წელს და არც სხვა საზეიმო დღეს არა აქვს მნიშვნელობა - ყველაფერი ნაცრისფერია! ერთადერთია ნატვრა: ყოველთვის საკუთარ ჭერქვეშ, საკუთარ მიწაზე სუნთქვაა! ფოტო ნიღაბია ჩვენთვის, რომ შენიანებს გული არ ატკინო სინამდვილით.

ქეთევან ნათელაძე, **პოეტი, ნიკოლოზ ბარათაშვილის პრემიის ლაურეატი**-„ ვფიქრობ, რომ ბევრი სიახლით არ გამოირჩეოდა ჩვენი ქვეყნისთვის ეს წელი, სამწუხაროდ, ვერ ვგრძნობ ქვეყნის ვერანაირ წინსვლას, იმედი მაქვს, 2016 წელი მაინც აღმოჩნდება ფეხბედნიერი, რაც შემეხება მე - ჩემთვის ეს წელი ნაყოფიერი იყო: დავამთავრე სწავლა უნივერსიტეტში, ვემზადები მაგისტრატურისთვის, გამოვიდა კრებულები, რომლებშიც შესულია ჩემი ლექსები, ასევე წელს ავიღე ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პრემია და გავხდი შოთაობის გამარჯვებული კიდევ ერთხელ. ახალ წელს შევხვდები ოჯახთან და მეგობრებთან ერთად საზეიმო ვითარებაში.

ყველა ქართველს ვუსურვებ წინსვლას და წარმატებას, ვისურვებ გვეცხოვროს უკეთეს საქართველოში.

დიმიტრი ყოჩიაშვილი, **ექიმი**,- „საქართველოსთვის ეს წელი იყო რთული და წინააღმდეგობრივი, მაგრამ, საერთო ჯამში-დადებითი!..ჩემს პირად ცხოვრებას თუ თვალს გადავავლებ, მიუხედავად პატარა პრობლემებისა, ეს წელი მხოლოდ დადებითია!.. ახალ წელს, ტრადიციულად, ვხვდებით ოჯახში საახალწლო სუფრასთან (მართალი გითხრათ, ახალ წელს სხვაგან არასდროს შევხვედრივარ!) ძალიან მიყვარს საახალწლო სურფასთან გოზინაყი და საცივი. დამდეგ 2016 წელს საქართველოს ვუსურვებ ტერიტორიულ მთლიანობას, ეკონომიკურ აღმავლობას, მშვიდობას, გამრავლებას, თითოეულ თქვენგანს-ჯანმრთელობასა და სულიერ სიმშვიდეს! უფალი გვფარავდეს! გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!



ელიზბარ იმერლიშვილი, **ფერმერი**,- „2015 წელი საქართველოსთვის წინსვლის წელი იყო. პირადად, როგორც სოფლის მეურნეობაში ჩართული კაცისთვის კარგი წელი იყო, მოსავალი საშუალოზე მაღალი მოგვცა ბუნების ძალამ, თუმცა, ლარის კურსის ვარდნამ უარყოფითად იმოქმედა პროდუქციის ფასებზე. ახალ წელს ტრადიციულად დედაჩემთან ჩემი და ჩემი ძმის ოჯახის წევრებთან ერთად ვხვდები. საახალწლო სუფრაზე ყველაზე მეტად შემწვარ გოჭს ვცემ პატივს. 2016 წელში ვისურვებდი ყოფილიყოს მშვიდობა მთელს მსოფლიოში. საქართველოს გამთლიანებას, წინსვლას და აყვავებას ვუსურვებ.

ლალი მეხრიშვილი

C ჰეპატიტის პრევენცია ორგანიზებულია

ჩვენი გაზეთის N45-ში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც იუწყებოდა, რომ მიმდინარე წლის 15 დეკემბერს, 2016 წლის 22 იანვარს და 16 თებერვალს ჯანდაცვის ცენტრში ჩატარდებოდა C ჰეპატიტის სკრინინგული კვლევა. 15 დეკემბერს პირველი აქცია უკვე შედგა. ჩვენ ვესაუბრებით დედოფლისწყაროს ჯანდაცვის ცენტრის უფროსის მოადგილეს ლალი ალადაშვილს.

- ქალბატონო ლალი, გვითხარით ცოტა რამ C ჰეპატიტის შესახებ.

- C ჰეპატიტი რთული და ვერაგი დაავადებაა. ის აზიანებს ღვიძლს. ვირუსული C და B ჰეპატიტებით მსოფლიოში ასობით მილიონი ადამიანია დაავადებული. ის იწვევს ღვიძლის მწვავე და ქრონიკულ დაავადებას და სტატისტიკურად ყოველწლიურად დაახლოებით მილიონ 450 ათასი ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდება. მსოფლიოში B ჰეპატიტით ქრონიკულად ინფიცირებულია 240 მილიონი ადამიანი და ყოველწლიურად, დაახლოებით, 780 000 ადამიანი იღუპება. ქრონიკული C ჰეპატიტი კი 130-150 მილიონ ადამიანს აღენიშნება. მასთან დაკავშირებული ღვიძლის გართულებებით ყოველწლიურად იღუპება 350 000- დან 500 000-მდე ადამიანი. მილიონობით ადამიანი ცხოვრობს ჰეპატიტის ვირუსით, მილიონობით ადამიანი კი დაინფიცირების რისკის ქვეშაა. ადამიანთა უმრავლესობამ არ იცის, რომ ისინი B ან C ქრონიკული ჰეპატიტის ვირუსის მატარებელნი არიან. ვირუსული C ჰეპატიტი უდიდესი ტვირთია საზოგადოებრივი ჯანდაცვის კუთხით როგორც გადამდებლობის თვალსაზრისით, ასევე ეკონომიკურადაც, რადგან ღვიძლის კიბოს და ციროზის დროს ღვიძლის უკმარისობის მკურნალობა დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან.

2014 წლის აპრილში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ მიიღო ახალი რეკომენდაციები C ჰეპატიტის მკურნალობასთან დაკავშირებით. ამ პროგრამაში, ჩვენი მოსახლეობის საკეთილდღეოდ, ჩაერთო საქართველოც. ჩატარებული უფასო სკრინინგის, ასევე უფასო მკურნალობის პირველი ეტაპი წარმატებით დამთავრდა და მეორე ეტაპი დაიწყო. ამჟამად პროგრამაში უკვე დარეგისტრირდა 7600-ზე მეტი პაციენტი. C ჰეპატიტის საწინააღმგეო უახლესი ანტივირუსული პრეპარატებით მკურნალობა დაიწყო 2042 პაციენტმა.

C ჰაპატიტის ელიმინაციის პროგრამას საქართველოში აქვს ძლიერი პილიტიკური მხარდაჭერა და საქართველოს შრომის , ჯანმრთელობისა და სოცლიალური დაცვის სამინისტროს უახლოესი 5 წლის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ამიტომ, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც დაუდგინდა C ჰეპატიტის დიაგნოზი, აქვს უნიკალური შანსი, უფასოდ მიიღოს ახალი გენერაციის ანტივირუსული პრეპარატი.

„საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის გეგმის ფარგლებში, სკრინინგული კვლევებისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №1974 განკარგულების საფუძველზე საქართველოში 2015 წლის ნოემბრიდან 2016 წლის თებერვლის ბოლომდე, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროექტის ფარგლებში დაგეგმილია C ჰეპატიტის მასიური კვლევა. საქართველოს ნებისმიერ მოქალაეს შესაძლებლობა აქვს, ჩაიტაროს უფასო კვლევა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლაბორატორიებში. დედოფლისწყაროელი მოსახლეობისთვის აღნიშნულ კვლევაზე დანიშნულია სამი დღე: - 15 დეკემბერი, 22 იანვარი და 16 თებერვალი; როგორც ზემოთაც ვთქვით, 15 დეკემბერს კვლევის პირველი ეტაპი უკვე ჩატარდა.



- როგორი იყო შედეგი?

- მიუხედავად ძლიერი ქარიანი დღისა, ქალაქის მოსახლეობამ მაინც მოახერხა და მოვიდა კვლევის ჩასატარებლად. კვლევა ჩაიტარა 47 მოქალაქემ, რომელთა შორის, საბედნიეროდ, არ აღმოჩნდა არც ერთი დაავადებული.

- როდესაც თქვენმა სამსახურმა გაზეთში კვლევის ჩატარებასთან დაკავშირებით განცხადება გამოაქვეყნა, ბევრი ადამიანი გამოგვეხმაურა და გვეუბნებოდა, ის სრულიად ჯანმრთელია და არის თუ არა მისთვის კვლევის ჩატარება აუცილებელი. რას უპასუხებთ ამ ადამიანებს?

- ადამიანი შეიძლება თავს ჯანმრთელად გრძნობდეს, მაგრამ იყოს C ჰეპატიტის ვირუსის მატარებელი წლების განმავლობაში და ამის შესახებ არაფერი იცოდეს. არც იმის წინასწარმეტყველება შუძლია ვინმეს, თუ როდის გააქტიურდება მასში არსებული ვირუსი და როცა ჯანმრთელობის კუთხით თავს იჩენს პობლემები, ხოლო ანალიზი აჩვენებს C ჰეპატიტის დაავადებას, იწყება მკურნალობა, რომელიც უფრო ეფექტური იქნებოდა საწყის ეტაპზე, მაშინ, როცა სკრინინგის შედეგად ადრეულ ფაზაში გამოვლინდებოდა ვირუსის არსებობა. ასეთი უყურადღებობის შემთხვევაში ჯანმრთელობის აღდგენა შედარებით ხანგრძლივიცაა და დიდ ხარჯებსაც მოითხოვდა იქამდე, ვიდრე სახელმწიფოს არ მიეცა საშუალება, ჩართულიყო მსოფლიო პროგრამაში და უზრუნველეყო თავისი მოსახლეობის სკრინინგი და მკურნალობა. ამიტომ, ვურჩევთ თითოეულ მოქალაქეს, ისარგებლოს დღევანდელი შესაძლებლობებით, ჩაიტაროს გამოკვლევა და დააზუსტოს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

- როგორ ხდება ანალიზის აღება, რთული პროცედურაა?

- არა, ძალიან მარტივით, მხოლოდ ერთი ჩხვლეტა თითზე, ერთი წვეთი სისხლის დაწვეთება ტესტზე და სულ რამოდენიმე წუთში პასუხი მზადაა, რომლის სიზუსტეში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, რადგან ტესტები მაღალხარისხიანია და მსოფლიო სტანდარტებს აკმაყოფილებს.

- სხვადასხვა ანალიზის აღების დროს მნიშვნელობა აქვს, პაციენტი მშიერია თუ არა. აქ როგორი მოთხოვნაა ამ კუთხით?

- ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა ნაჭამია თუ უჭმელი.

- როგორც თქვენ აღნიშნეთ, შემდეგი კვლევები ჩატარდება 22 იანვარს და 16 თებერვალს. იქნება ეს ისევ მხოლოდ ქალაქისათვის და როგორ შეეხება იგი სოფლის მოსახლეობას?

- აღნიშნულ კვლევას ატარებს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის თელავის რეგიონალური ლაბორატორია კვალიფიციური ლაბორანტის და ექიმი ეპიდემიოლოგის მონაწილეობით. მათ პროგრამის ფარგლებში მკაცრად გაწერილი გრაფიკი აქვთ და დამატებითი დღის დანიშვნა სოფლებისათვის არ მოხერხდება. ამიტომ, ქალაქთან ერთად ჩვენი სამსახური ყველა ღონეს იხმარს, რომ მოსახლეობა სოფლებშიც ინფორმირებული იყოს. ჩვენ დავუკავშირდებით რწმუნებულებს, სოფლის ექიმებს, ექთნებს, დავამზადებთ ცნობარებს და მათი საშუალებებით ხმას მივაწვდენთ სოფლის მოსახლეობას, რათა მობილიზება გაუკეთდეს მსურველთა ორგანიზებულ მოსვლას ჩვენთან, ჯანდაცვის ცენტრში (საავადმყოფოს ტერიტორია) 22 იანვარს და 16 თებერვალს დილის 10 საათიდან დღის 3 საათამდე. იმედია, შემდეგი დღეები უფრო ნაყოფიერი იქნება.

- წარმატებებს გისურვებთ. გმადლობთ საინტერესო საუბრისათვის. იმედია, ჩვენი საზოგადოება იჩქარებს, ისარგებლებს ამ უფასო შესაძლებლობებით,მიიღებს კვალიფიციურ მომსახურებას და გაარკვევს თავის ჯანმრთერლობის მდგომარეობას ამ ვერაგ დაავადებასთან მიმართებაში.

ესაუბრება
ნაირა გორაშვილი

თეთრხალათიანი რაინდები

ჩემი აზრით, რაინდობა მოყვასის სიყვარული, მეგობრობა, ქველმოქმედება, სიკეთის ქმნა და ბოროტების დამარცხებაა.

ეს წოდება ყველაზე უკეთ მიესადაგება ჩვენს რაიონში დაბადებულ და რუსეთში მოღვაწე ღვაწლმოსილ ექიმს გივი სარდიონის ძე ნარტროშვილს და მის შვილებს: ილიას და ალექსანდრეს.

ნატროშვილების ექიმთა დინასტიის მეთაური გივი ნატროშვილი წითელწყაროშია დაბადებული. მან წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და წარჩინებით - სტავროპოლის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ქალაქ კისლოვოდსკის საქალაქო საავადმყოფოში ქირურგად.

რუსეთში მოღვაწეობის პარალელურად, მას არ დავიწყებია მშობლიური რაიონი და არც ქველმოქმედება. საკამარისია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მან მშობლიურ N1 საშუალო სკოლას 7000 ლარის ღირებულების მუსიკალური ინსტრუმენტები შეუძინა.

ნატროშვილების საექიმო დინასტია ცნობილია არა მარტო კისლოვოდსკში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ვინ მოთვლის, რამდენ ადამიანს აღუდგინეს ჯანმრთელობა, წამოაყენეს ფეხზე და დაუბრუნეს ისინი ოჯახებსა და საზოგადოებას.

დინასტიის მეთაური გივი ნატროშვილი ისევ ძველებურად მწყობრშია, მუშაობს ქალქ კისლოვოდსკის მთავარ ქირურგად. იგი კონსულტაციებს უწევს ავადმყოფებსა და კოლეგებს, უზიარებს მათ თავის მდიდარ გამოცდილებას, ატარებს მასტერ-კლასებს. მის ანგარიშზეა ათეულობით რთული ქირურგიული ოპერაცია. ბატონი გივი არის „რუსეთის ფედერაციის დამსახურებული ქირურგი“, ჯანდაცვისფრიადოსანი“, დაჯილდოებულია ორდენით „სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის“, არის მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

2003 წლის სექტემბრის თვეში მომხდარი ტერაქტის დროს განსაკუთრებით საჭირო გახდა მისი ოქროს ხელები. გივი იხსენებს: „კისლოვოდსკი-მინვოდის ელექტრომატარებელზე მომხდარი ტერაქტის, აფეთქების შემდეგ ერთი მეორის მიყოლებით მოდიოდნენ სასწრაფო დახმარების მანქანები, მოჰყავდათ დასისხლიანებული, დასახიჩრებული ადამიანები, ირგვლივ ყვირილი, ტირილი ისმოდა...გვთხოვდნენ შველას დაბნეული ადამიანები, დაჭრილთა შორის ეძებდნენ თავისიანებს. სანიტრებს მოჰყავდათ დაჭრილი ადამიანები. დაძაბული 12 დღის განმავლობაში გამოძახების გარეშე მხოლოდ ორი ღამე იყო“.

ბატონ გივის წლების განმავლობაში მრავალი უნიკალური ოპერაცია აქვს შესრულებული, მათ შორის აღსანიშნავია ერთ-ერთი კისლოვოდსკელის ოპერაცია. მას ორი ავტომატით 22 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. მძღოლმა ცეცხლის ალიდან ძლივს გამოაღწია, რომ დაჭრილი საავადმყოფომდე მიეყვანა. მისი გადარჩენისთვის საჭირო იყო გამოცდილი, მცოდნე ქირურგი, რომელიც დარწმუნებული იქნებოდა თავის უნარსა და შესაძლებლობებში. ოპერაცია 12 საათს გაგრძელდა ორ ეტაპად.

ცნობილია, აგრეთვე, უნიკალური შემთხვევა, როცა გივი ნატროშვილმა გადაარჩინა ახალგაზრდა, რომელსაც მიყენებული ჰქონდა ჭრილობა დანით, გულიდან სულ რაღაც მილიმეტრებით დაცილებული. როგორც უფროსი ნატროშვილი თვლის, „ხალხს შველის ღმერთი, ხოლო ქირურგები აკეთებენ იმას, რაც მათ ასწავლეს“.

გივი ნატროშვილის მეუღლემ, გალინა ნატროშვილმა, აითვისა ორი საექიმო სპეციალობა- თერაპევტისა და კარდიოლოგისა. მრავალი წლის განმავლობაში იგი უფროს ექიმად მუშაობდა ერთ-ერთ საუკეთესო სანატორიუმში, „კრასნიე კამნი“, რომლის საქმეებს მართავდა პირადად რფ პრეზიდენტი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ სანატორიუმში ისვენებდნენ: ა.ნ. კოსიგინი და ი.ვ. ანდროპოვი, და რაც მთავარია, მ.ს. გორბაჩოვი და ბ.მ. ელცინი.

მამის კვალზე წავიდნენ მისი შილები ილია და ალექსანდრე. ორივე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია. მათი ცხოვრების მიზანი, ჯერ კიდევ ბავშვობიდან, ხალხთა გადარჩენაა. მათ ჯერ კიდევ ბავშვობაში ჰქონდათ შემთხვევები, თუ როგორი პატივისცემით ეპყრობოდნენ ყოფილი პაციენტები მამამისს. ზაფხულის არდადაგების პერიოდში ისინი მუშაობდნენ საავადმყოფოში სანიტრებად, ეცნობოდნენ ქირურგის ვაჟკაცურ სპეციალობას.

გივი ნატროშვილის უმცროსი ვაჟი ალექსანდრე დოცენტია. ბრწყინვალედ ფლობს ინგლისურ ენას, რაც საშუალებას აძლევს ინგლისურ ენაზე წაუკითხოს ლექციები უცხოელ სტუდენტებს. იგი მუშაობს მოსკოვის 61-ე კლინიკურ საავადმყოფოში ქირურგად, არის 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

უფროსი ვაჟი ილია ნატროშვილი უმაღლესი ხარისხის ქირურგია. მიუხედავად იმისა, რომ მას მრავალჯერ ჰქონდა შემოთავაზება უმაღლესი კარიერული ზრდისათვის დედაქალაქში, იგი მეექვსე წელია დარჩა კისლოვოდსკში და განაგებს პირველ ქირურგიულ განყოფილებას. მან ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და წარჩინებით მოსკოვის მეორე სამედიცინო ინსტიტუტი. მისი ცხოვრებისეული მიღწევები საუკეთესო მაგალითია დამწყები ექიმებისათვის. მან მრავალ ადამიანს დაუბრუნა სიცოცხლე, როცა ისინი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იყვნენ.

ერთ-ერთი პაციენტი აღნიშნავს: „სამი წლის წინ ქალაქის პოლიკლინიკაში ულტრაბგერითი გამოკვლევისას აღმოაჩინეს 14 მმ-იანი კენჭი ნაღვლის ბუშტში. ჩატარდა შესაბამისი პროცედურები. დაინიშნა ექიმთა კონსილიუმი ქირურგ ილია ნატროშვილის ხელმძღვანელობით.უნდა აღინიშნოს, რომ ილია ნატროშვილი შეგნებულად წავიდა უსისხლო ოპერაციაზე, რომელიც მოითხოვს უმაღლეს ქირურგიულ ხელოვნებას. ოპერაციამ ბრწყინვალედ ჩაიარა, თავს კარგად ვგრძნობ, დამიბრუნდა ცხოვრების ხალისი!“

ახალგაზრდა ქირურგი ილია ნატროშვილი ქირურგიულ განყოფილებას ხელმძღვანელობს. იგი ბევრს მუშაობს მეცნიერული თვალსაზრისითაც, წყვეტს ადმინისტრაციულ საკითხებს, ეხმარება უმცროს სამედიცინო პერსონალს როგორც მუშაობაში, ისე საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურადაც.

რაც შეეხება ალექსანდრე (სანდრო) ნატროშვილს, იგი მოღვაწეობს მოსკოვში. 2014 წლის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მუცლის ღრუს ახალგაზრდა ქირურგების საპატიო ათეულში სანდრომ ღირსეული ადგილი დაიკავა.

ჩვენი „რაინდები“ საუკეთესო ოჯახების პატრონებიც არიან.

გივის სამი შვილი ჰყავს: ილია, სანდრო და ნანა, ნანა ფარმაცევტია.

ილიას სამი შვილი ჰყავს, მისი მეუღლე ქეთი ხაზარაძე დედოფლისწყაროელია.

სანდროს ორი შვილი ჰყავს, მეუღლე თბილისელია.

ნანას სამი შვილი ჰყავს, მეუღლე კისლოვოდსკელი ქართველია.

ასე რომ, რუსეთში მოღვაწე ჩვენი ქართველები ღირსეული ექიმები და საუკეთესო პიროვნებები არიან. მათ იცნობენ როგორც კისლოვოდსკში და მოსკოვში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ბიბლია გვამცნობს: „საქმემან შენმამ გამოგაჩინოსო“.

კისლოვოდსკში, და არა მარტო კისლოვოდსკში, ნატროშვილების დინასტიას “თეთრხალათიან რაინდებს” უწოდებენ.

მართლაც, რომ მათი საქმიანობა ამის დასტურია.

ეგული ყოჩიაშვილი

ხელოვნების სკოლაში საშობაო კვირეულია...

წინასაახლწლო განწყობაა საქართველოში, მათ შორის არც ჩვენი მუნიციპალიტეტია გამონაკლისი... რამოდენიმე დღის წინ მოსულმა პირველმა თოვლმა ამაში უკვე დიდი როლი ითამაშა, ახლა სამზადისის მეორე ეტაპზე ვართ... სავაჭრო დაწესებულებების თუ სხვადასხვა ორგანიზაციების ვიტრინებიდან თავს გვაწონებენ გემოვნებით მორთული ნაძვისხეები, მთავარი ნაძვისხეც ასანთებად ემზადება... "ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო" და გვიჭირს თუ გვილხინს, ყველა ფიქრი მაინც ახალი წლის მოახლოვებას უკავშირდება, მის ლამაზად დაგეგმვას, მოახლოვებულ მხიარულებას, მეგობარ-ნათესავებთან შეხვედრებს...

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში უკვე რამდენიმე დღეა "საშობაო კვირეულის" ფარგლებში წინასაახალწლო, საშობაო საღამოები მიმდინარეობს, სადაც სკოლის ყველა პედაგოგია ჩართული და მცირე საკონცერტო დარბაზში ყოველდღიურად კლასიკური მუსიკის ნაწამოებებით უმასპინძლდებიან მოსწავლეთა მშობლებსა თუ სხვა მოწვეულ სტუმრებს. აქ ყველანაირი შესაძლებლობის მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას, როგორც განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებულები, ასევე საშუალო მუსიკალური მონაცემების მქონენი...

18 დეკემბრის საშობაო ღონისძიებას ვსტუმრობდით, სადაც მოსწავლეებმა განვლილ თვეებში ნასწავლი მასალის პრეზენტაცია მოაწყვეს, ყველაზე საინტერესო და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა მოსწავლეებისა და მათი მშობლების მიერ ერთობლივად შესრულებული ნაწარმოებები თუ სიმღერები, რომლებმაც მსმენელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს...

ხელოვნების სკოლის დირექტორმა მარიამ კიკილაშვილმა ღონისძიების დასასრულს მადლობა გადაუხადა პედაგოგებს და ბავშვებს ლამაზი საღამოსთვის და სამომავლოდ უფრო მეტ მშობელს მოუწოდა ასეთ ღონისძიებებში შვილებთან ერთად მონაწილეობისკენ, რადგან ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო გზა შვილის სულიერ სამყაროში უფრო ადვილად შეღწევისა, მისი მეტად დაახლოვებისა... ქალბატონმა მარიამმა აქვე დაანონსა, რომ 23 დეკემბერს, 15 საათზე ხელოვნების სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება ღია აკადემიური კონცერტი, სადაც მსმენელს საშუალება ექნება სკოლის 14 საუკეთესო მოსწავლის მიერ შესრულებულ ნაწარმოებებს მოუსმინოს.

ელზა ხარაშვილი

ფრთხილად! ელექტრობოძები ამორტიზებულია

ბოლო პერიოდში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო ელექტროენერგიის ხშირ გათიშვებს საზოგადოება უკვე მიეჩვია, თუმცა, საზოგადოებას კვლავ აღაშფოთებს ამორტიზებული ელექტროგადამცემი ბოძები, რომლებიც ადამიანების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის.

ზუსტად წელიწადნახევრის წინ დედოფლისწყაროს ენერგოდისტრიბუციის უფროსი ვანო გიგოლაშვილი აღნიშნულ საკითხზე ჩვენთან ინტერვიუში ამბობდა, რომ მთელი რაიონის მასშტაბით ელექტროგადამცემ ბოძებზე და რიგ სამეურნეო საკითხებზე მოკვლევა ჩატარებულია, მონაცემები გაგზავნილია და, როგორც კი საჭირო სამშენებლო მასალები გაჩნდება, მაშინვე დაიწყება სარემონტო სამუშაოებიო. აქ საუბარი იყო სოფლებზეც, სხვათაშორის, მას შემდეგ რაიონის ბევრ სოფელში ახალი ელექტროგადამცემი ბოძები დამონტაჟდა, რამაც მთლიანად საიმედო გახადა ამ სოფლების უწყვეტი ელექტრომომარაგება.

თუმცა, ამას ვერ ვიტყვით ქალაქის ძალიან ბევრ ქუჩაზე. მოსახლეობა ითხოვს, რომ დავაყენოთ საკითხი ძველი ბოძების გამოცვლის თაობაზე, ანალოგიური მოთხოვნით გამოდიან უკვე შეწუხებული მონტიორებიც, ისინი მოსახლეობაზე მეტად წუხდებიან და აცხადებენ, რომ დიახ, აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში დასაყენებელია.

-„ქალბატონო, მობრძანდით და შეხედეთ აი, ამ ბოძს, სადაც ჩვენი მონტიორია ასული, შეხედეთ და ელექტროენერგია რატომ გავთიშეთ, იმას კი ნუ გვედავებით, აი, ეს საკითხი დააყენეთ დღის წესრიგში, რომ აი, ასეთ გადაწვენილ ბოძზე როგორ ავიდა ჩვენი მონტიორი, რომელიც საკუთარი სიცოცხლის ფასად ცდილობს, მოუგვაროს ბინაში დენის მიწვდის პრობლემა მოქალაქეს, შესაძლოა, მონტიორს ბოძი მოუტყდეს და ჩამოვარდეს! მოითხოვეთ, რომ გამოგვიცვალონ, ეს თქვენთან ერთად ჩვენც გვაწუხებს და იმაზე მეტად გვაწუხებს, ვიდრე ნებისმიერი თქვენგანს!"-ამბობს ჩვენთან საუბარში ელექტრომეურნეობის ერთ -ერთი მუშაკი.

საყვედურებს ვისმენთ თავად მოსახლეობისგან. რამდენიმე ხნის წინ ერეკლე მეორის ქუჩის მოსახლეობა ერთად შეიკრიბა და თითოეულ ბოძზე სათითაოდ ჰყვებიან-„აბა, მობრძანდით და შეხედეთ. აი, ამ ბოძს, აქ რომ დგას, ბოძი ჰქვია?! ან, აგერ თუნდაც იქითას, ამას გაკეთება არ უნდა?! სადენები ბეწვზე ჰკიდია, საერთოდ, ბოძზეც არაა დამაგრებული, ბლის ხის ტოტებს უჭირავს დენის სადენი ამ ადგილას, ამას კიდევ რა უჭირს, აბა იქითას შეხედეთ..."-ასე გაუთავებლად მიდის კამათი და ითხოვენ, რომ ეს საკითხი სახუმარო არაა.

შედეგი? შედეგი ის გახლავთ, რომ ორიოდე წლის წინ, ერთ-ერთი ბინის მაცხოვრებლის პრეტენზიას, რომელიც საკუთარი სახლის წინ მდებარე ელექტროგადამცემი ბოძის გამოცვლას ითხოვდა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა, იქ მუდმივად მოთამაშე ბავშვებს და მთლიანად სახლს, ჩვენი გაზეთის მიმართვის შემდეგ კახეთის ელექტროდისტრიბუციამ გამოცვალეს, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ბოძებიც იყო ამორტიზებული და გამოცვლას საჭიროებდა, მხოლოდ ის კონკრეტული ბოძი იქნა გამოცვლილი.

დასკვნა - ერთ ბოძზე კახეთის მასშტაბით უნდა შეაწუხო ხალხი, რომ გამოცვალონ. დედოფლისწყაროს ელექტრომეურნეობის უფროსი ვანო გიგოლაშვილი აღნიშნულ საკითზე ჩვენთან საუბარში აღნიშნავს:-„პრობლემა ჩვენთვის იმაზე უკეთესადაა ცნობილი, ვიდრე თავად იცით, თუმცა, გამოსავალი არსაიდან არ არის, არის ქუჩები, სადაც შიშით ვერ გაგივლია, ისეთ მდგომარეობაშია ყველა ბოძი, მაგრამ არანაირი პერსპექტივა, ჯერჯერობით, არ ჩანს, რომ ეს ბოძები გამოვცვალოთ."

-თქვენთან ერთი წლის წინ ჩაწერილ ინტერვიუში ამბობდით, რომ გაკეთებული გაქვთ მთელი რაიონის მოკვლევა, დათვლილი და გაანგარიშებული გაქვთ სად რამდენი ბოძია საჭირო, სად რამდენი ელექტროსადენი და გადაგზავნილი გქონდათ სამინისტროში, საიდანაც პასუხს ელოდებოდით და როგორც მახსოვს, გვპირდებოდით, რომ ძალიან მალე დაიწყებოდა დიდი სარესტავრაციო სამუშაოები, რა შედეგი მოჰყვა თქვენს მიერ გადაგზავნილ მოთხოვნას?

-არანაირი შედეგი არ მოჰყოლია, ჯერჯერობით ისევ ვართ ასე, მხოლოდ რამდენიმე სოფელი გაკეთდა, ჩამოვიდა მათთვის ცემენტის და რკინის ახალი ბოძები და სოფლები გაკეთდა, თუმცა რაიონის შიდა ქუჩები კვლავ ძველებურად დაგვრჩა, მეტი საშუალება ამ ეტაპზე აღარ არის, ისევ ჩვენ თუ სადმე აუცილებელად გამოსაცვლელია, საიდანმე ახალს ვშოულობთ და ასე ვაკეთებთ თითო- ოროლა ბოძს.

- ყველა ქუჩა, რა თქმა უნდა, მისახედია, მაგრამ ერეკლე მეორის ქუჩაზე უკვე ვეღარ გამივლია, ყოველი მეორე ადამიანი ამ საკითზე მაჩერებს და იმ პრობლემის ახსნას იწყებს, რაც უკვე კარგად ვიცი.

- დღეს თელავიდან მიგზავნიან ხუთ ბოძს და როგორც კი ჩამოვა ეს ბოძები, გპირდებით, უპირველესად ერეკლე მეორის ქუჩას მივაშურებთ.

რაც შეეხება კახეთის ელექტროდისტრიბუციას, მათ დასახელებულ პრობლემაზე ჩვენდა გასაოცრად მოითხოვეს, რომ ამორტიზებული ბოძებისთვის ფოტოები გადაგვეღო და მათთვის გაგვეგზავნა, რათა პასუხი მოემზადებინათ. გადაღებული ფოტოები მართლაც გავაგზავნეთ. მათ გაგზავნილი ფოტოები დაათვალიერეს და დაასკვნეს: - „ამ ფოტოებიდან ერთი ბოძი სატელეფონო ბოძია და ჩვენ არ გვეკუთვნის, დანარჩენი კი, არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს არც მონტიორებისთვის სამუშაოდ და არც ამორტიზებულად ჩაითვლება. ასეთია ხელმძღვანელობის პასუხი, ასე მითხრეს მე," - ამბობს ჩვენთან კომენტარში კახეთის ელექტროდისტრიბუციის პრესსამსახურის უფროსი ქალბატონი ჟანა დიდებაშვილი.

დედოფლისწყაროს სერვისცენტრის უფროსი ვანო გიგოლაშვილი კი გვაიმედებს და მადლობასაც გვიხდის საკითხის კვლავ გააქტიურებისთის.

-მომავალი თვიდან სოფელ მაჩხაანის ახალ ელექტროსადენ ბოძებზე გადაყვანას ვიწყებთ, ჩვენ მონაცემები გაგზავნილი გვაქვს და ყოველდღიურ რეჟიმში ველოდებით მასალას, არ ვიცით როდის დაგვიძახებენ და როდის მოგვაწვდიან მას, იქნება ეს ხვალ, ერთ თვეში, ორ თვეში თუ ერთ წელიწადში არ-ვიცი. მე ვისურვებდი, რომ ეს ხვალვე იყოს, ამას რა სჯობს, მაგრამ სამწუხაროდ ასე ადვილი არაა ამ საკითხის მოგვარება. ისე კი, მადლობა მინდა გადაგიხადოთ საკითხის დღის წესრიგში კიდევ ერთხელ დაყენებისთვის და იმისთვის, რომ ჩვენი საქმის მოგვარებისთვის ასე სწუხდებით და გვერდში გვიდგავხართ.

ასეთი რესპოდენტი კი იშვიათად გვყოლია, რაც არ უნდა მწვავედ იდგეს პრობლემა და რაც არ უნდა კრიტიკული კითხვა დავუსვათ, ბატონი ვანო კომენტარზეც მუდამ თავისუფლად გვპასუხობს და მადლობითაც გვაცილებს.

ლალი მეხრიშვილი

საქართველოს „ღორის გრიპი“ ისევ უტევს

მაღალი ტემპერატურა, ხველა, ყელის ტკივილი, სისუსტე – ეს ე.წ ღორის გრიპის H1N1-ს სიმპტომებია, თუმცა ისინი ჩვეულებრივი გრიპისგან თითქოს არაფრით განსხვავდება. ამ ვირუსის პანდემიამ, წლების წინ, ათასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. დღეს ვითარება შეცვლილია და ამ ინფექციასაც ჩვეულებრივი გრიპისგან თითქოს არაფრით განასხვავებენ – ამბობენ, კაცობრიობას იმუნიტეტი გამოუმუშავდაო... არადა, საკითხავია, რამდენად შეიძლება ეს გახდეს დამამშვიდებელი გარემოება, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა საქართველოში H1N1-ის უკვე შვიდი დადასტურებული შემთხვევაა დაფიქსირებული და იმის გათვალისწინებით, რომ ზამთარი ახლა დაიწყო, სპეციალისტები ინფექციის გავრცელების პიკს თებერვლისთვის ვარაუდობენ.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე **პაატა იმნაძე** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ არსებულ მონაცემებში საგანგაშო არაფერია:

– ზამთარია და გრიპი რომ ზამთარშია, აქ გასაკვირი არაფერია... არსებული ვითარება საგანგაშო ნამდვილად არაა. შარშან ორჯერ მეტი შემთხვევა იყო, ჰოსპიტალიზაცია კი იგივეა, რაც შარშან და შარშანწინ, პოლიკლინიკებში მიმართვიანობაც, წინა წელთან შედარებით, ორჯერ ნაკლებია

– არსებულ ვითარებაში გასაკვირი ისაა, ბატონო პაატა, რომ წლების წინ, როცა პანდემიამ ლამის მსოფლიო მოიცვა, თქვენ „ღორის გრიპის“ ეპიდემიაზე ლაპარაკიც არ გინდოდათ, ახლა კი ხმამაღლა აცხადებთ, შვიდი შემთხვევა დადასტურდაო...

– H1N1 არც მაშინ იყო საშიში და არც ახლაა... გრიპი გრიპია, გინდ ღორის იყოს და გინდ – ბეჰემოთის...

– კი, მაგრამ მაშინ ამ ინფექციას ათასობით ადამიანი შეეწირა და საშიში როგორ არაა?

– 2010 წელს, ეს ვირუსი ახალი იყო, თუმცა არც მაშინ გამოირჩეოდა დიდი სიმძიმით. გრიპი გრიპია და მაშინაც ჩვეულებრივი მეთვალყურეობა ხორციელდებოდა.

– ახლა არ მითხრათ, რომ ე.წ. ტამიფლუს სკანდალიც არ არსებობდა – ამბობდნენ, „ღორის გრიპი“ ხელოვნურად შექმნილი ინფექციაა და „ტამიფლუც“ არ კურნავს. უბრალოდ, პრეპარატი მსხვილი ფარმაცევტული კომპანიებისთვის ფულის კეთების საშუალებაა...

– ყველაფერი ეს სისულელეა... პირველი პანდემია „ესპანკა“ კარგადაა აღწერილი მე-19 საუკუნეში... მაშინ სად იყო განვითარებული ლაბორატორიები, რომ ეს გაეკეთებინათ?

– გასაგებია, მაგრამ ის მიკვირს, რომ ამტკიცებთ, „ღორის გრიპი“ საშიში არ არისო, მით უმეტეს, ჩვენი მოსახლეობა ძირითადად თვითმკურნალობაზეა გადასული და ექიმთან მისვლასაც თავს მაქსიმალურად არიდებს.

– მნიშვნელობა არ აქვს, რა ტიპის გრიპია... არის სიმპტომები, როცა ექიმი აუცილებელია – ბავშვს თუ აქვს ტემპერატურა 38,5-ზე მეტი და ეს ერთ დღეზე მეტხანს გრძელდება, დიდის შემთხვევაში კი – სამ დღეზე მეტს, დაუყოვნებლივ ექიმს უნდა მიმართონ. თუ სისხლიანი ან ჩირქოვანი ნახველია, სუნთქვაც ჭირს, თვითმკურნალობა გამორიცხულია. გრიპი ყველას გვქონია, ზოგს მსუბუქად გადაგვიტანია, ზოგს – საშუალოდ და ზოგს მძიმედ.

ყოველ შემთხვევაში არსებული ვითარება პანიკის საფუძველს არ იძლევა. **ხუთი წელია, ეს ვირუსი დადის და მოსახლეობის უმრავლესობას უკვე გადატანილი აქვს, შესაბამისად, იმუნიტეტიც აქვს გამომუშავებული. ახალი ვირუსი ჯერჯერობით არ არის და ამიტომაც საგანგაშო არაფერია“.**

ნამდვილად არ გვინდა პანიკის დათესვა და თუ ვითარება საგანგაშო არაა, ეს მხოლოდ მისასალმებელია, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად უსაფრთხოა „ღორის გრიპი“ სიცოცხლისთვის, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ არცთუ შორეულ წარსულში, 2013 წელს, მხოლოდ საქართველოში ლაბორატორიულად დადასტურებული 284 შემთხვევა გამოვლინდა და აქედან 22 ლეტალობით დასრულდა

გრიპის პრევენცია

გრიპისგან თავის დასაცავად ყველაზე ეფექტურ გზად ითვლება ინფლუენცას საწინააღმდეგო ვაქცინაცია (გრიპის აცრა), ასევე ჰიგიენის წესების დაცვა, ხელების ხშირი დაბანა. ანტივირუსული პრეპარატები ეფექტურია თუ დადასტურებულია გრიპით ავადობა.

გრიპის ვაქცინა - ამ ვაქცინაციის ჩატარების შემდგომ მცირდება გრიპით ავადობის და მისგან გამოწვეული სიკვდილიანობის რისკი.

ვაქცინაციის პერიოდი - იმის გამო, რომ ვირუსი წლიდან წლამდე განიცდის მუტაციას, ვაქცინაცია საჭიროა გრიპის ყოველი სეზონის შემდგომ, როგორც კი ეს იქნება შესაძლებელი.

ჩრდილოეთ ნახევარსფეროზე გრიპის სეზონი არის ნოემბრიდან აპრილამდე, ხოლო სამხრეთ ნახევარსფეროზე მაისიდან ოქტომბრამდე. ტროპიკულ ქვეყნებში გრიპით ავადობა გვხვდება მთელი წლის განმავლობაში.

გრიპით ვაქცინაციის შემდგომ, მის საწინააღმდეგოდ ანტისხეულები გამომუშავდება 2 კვირის განმავლობაში. ვაქცინა როგორც წესი იცავს 50-80% შემთხვევებში. თუ თქვენ დაავადდით გრიპით ვაქცინაციის შემდგომ, სიმპტომები უფრო მსუბუქად ვლინდება და ავადობის პერიოდიც უფრო ხანმოკლეა.

აშშ-ში გრიპის ვაქცინა კეთდება 3 ფორმით: ინექციები კუნთში, ინექციები კანში და ნაზალური სპრეის სახით.

• ყველაზე ხშირად გამოიყენება კუნთშიდა ინექციის ფორმით, ვაქცინაცია ტარდება მოზრდილებში და ბავშვებში 6 თვის ასაკიდან.

• 2011 წლიდან ვაქცინაცია შეესაძლოა ჩატარდეს კანშიდა ინექციების ფორმით, ისეთივე ეფექტურია როგორც კუნთშიდა ინექციები, ტარდება მოზრდილებში 18-დან 64 წლამდე ასაკში.

• ნაზალური სპრეის ფორმით ვაქცინაცია რეკომენდირებულია ჯანმრთელ ბავშვებში 2 წლის ასაკიდან და ჯანმრთელ მოზრდილებში 49 წლის ასაკამდე.

ორსულებში, სუსტი იმუნური სისტემის და ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებში არ გამოიყენება ნაზალური სპრეით ვაქცინირება, ვინაიდან ის შეიცავს ცოცხალ ვირუსს. ასევე თუ ცხოვრობთ დასუსტებულ იმუნური სისტემის მქონე ადამიანთან ერთად, არ უნდა გამოიყენოთ ვაქცინა ნაზალური სპრეის სახით.

ვაქცინაციის გვერდითი ეფექტები - ყველაზე ხშირი გამოვლინება არის მტკივნეულობა ინექციის ადგილას. ასევე გვხვდება თავის ტკივილი, სისუსტე, ტემპერატურის მომატება 38*ჩ-მდე. ეს ჩივილები როგორც წესი მსუბუქად ვლინდება და 1-2 დღეში გაივლის.

ადამიანებს ვისაც აქვთ ალერგია კვერცხზე, არ უნდა მიიღონ ნაზალური სპრეით ვაქცინაცია, ვინაიდან ის იზრდება კვერცხზე და მისი უსაფრთხოება არ არის შესწავლილი. გრიპის ვაქცინა, რომელიც ტარდება ინექციების ფორმით, შესწავლილია და უსაფრთხოა. ამიტომ იმ პირებში, ვისაც აქვთ კვერცხზე ალერგია უნდა ჩაუტარდეთ ვაქცინაცია ინექციების ფორმით. არსებობს ასევე ვაქცინა, რომელიც არ არის კვერცხზე დამზადებული (ფლუცელვახ).

ხშირად ხალხი ნერვიულობს გრიპის ვაქცინაციის უსაფრთხოების შესახებ, თუმცა რისკი ვაქცინაციის შემდგომი გართულებების ბევრად მცირეა გრიპით ავადობის გართულებებთან შედარებით. იქიდან გამომდინარე, რომ არცერთი ვაქცინა არ არის 100% უსაფრთხო ყველასათვის, შესაძლოა იყოს მცირე რისკი ვაქცინაციის ჩატარებასთან დაკავშირებით. მაგალითად:

• გრიპის ვაქცინამ ნაკლებად შესაძლებელია გაზარდოს რისკი ნერვული სისტემის დაავადების - გილენ ბარეს სინდრომის განვითარების, თვითონ გრიპით ავადობასთან შედარებით.

• არ არსებობს მტკიცებულებები, რომ გრიპის ვაქცინა ზრდის დაბადების შემდგომ დეფექტებს და აბორტების განვითარების რისკს.

• ზოგიერთი გრიპის ვაქცინა შეიცავს კონსერვანტს სახელად თიმეროსალი, რომელიც მიღებულია ვერცხლისწყალიდან. თუმცა არ არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, რომ თიმეროსალის მცირე რაოდენობას შეეძლოს ზიანის მოტანა ბავშვების, ორსულების და მოზრდილებისთვის.

ვინ უნდა აიცრას? - გრიპის ვაქცინა რეკომენდირებულია ყველა ადამიანისთვის 6 თვის ასაკიდან. თუმცა ვაქცინაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

• მოზრდილებისთვის 50 წლის ასაკიდან და ზემოთ

• ბავშვების და მოზრდილებისთვის ვისაც აქვთ ფილტვების და გულის ქრონიკული პათოლოგია, დიაბეტი ან თირკმლის დაავადებები. ასევე ბავშვებში ასთმა.

• იმუნოდეფიციტის ვირუსით დაავადებული ბავშვების და მოზრდილებისთვის, ასევე ადამიანებითვის რომლებსაც აქვთ გადანერგილი ორგანო ან ღეროვანი უჯრედები.

• ბავშვებისთვის 6 თვიდან 18 წლამდე, რომლებიც ხანგრძლივად ღებულობენ ასპირინს და აქვთ რეიეს სინდრომის განვითარების რისკი.

• ქალებისთვის, რომლებიც გეგმავენ ორსულობას გრიპის სეზონისთვის.

• ბავშვების და მოზრდილებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ გაავრცელონ ინფექცია მაღალი რისკის მქონე ადამიანებზე. მაგალითად პირები, რომლებიც მუშაობენ სამედიცინო დაწესებულებებში.

ანტივირუსული პრეპარატები - ანტივირუსულ პრეპარატებს შეუძლიათ შეამცირონ გრიპის განვითარების რისკი, ინფიცირებულთან კონტაქტის შემდგომ. ამ პრეპარატების გამოყენება ასევე შესაძლებელია გრიპით დაავადებულ პირებში, რომლებსაც არ აქვთ ჩატარებული ვაქცინაცია და აქვთ გართულებების განვითარების რისკი. ანტივირუსული პრეპარატების შერჩევა დამოკიდებულია გრიპის შტამებზე, რომლებიც გავრცელებულია იმ პერიოდისთვის.

ინფექციის კონტროლი - ინფექციის კონტროლის გზებს, როგორიცაა ხელების ხშირი დაბანა და პირზე ხელის აფარება ხველის დროს, შეუძლია მოახდინოს გრიპის გავრცელების პრევენცია.

. ხელების ხშირი დაბანა საპნით, ასევე სპირტის შემცველი ხსნარების გამოყენება, ამცირებს გრიპის გავრცელების რისკს.

. დაფარეთ პირი და ცხვირი ცემინების ან ხველის დროს ერთჯერადი მოხმარების სალფეტკით და გადაყარეთ ისინი დაუყოვნებლივ.

. ეცადეთ არ შეეხოთ თვალებს, ცხვირს და პირს, რადგაც მიკრობები ასეთი გზით ვრცელდება.

. თავი აარიდეთ დაავადებულ ადამიანთან მჭიდრო კონტაქტს.

. თუ ავად გახდით გრიპით ან მისი მსგავსი სიმპტომები გაქვთ, დარჩით სახლში მინიმუმ 24 საათის განმავლობაში და ცხელების პერიოდის დროს, გარდა იმ შემთხვევისა თუ გესაჭიროებათ სამედიცინო დახმარება.

ავადობის პერიოდში შეძლებისდაგვარად თავი აარიდეთ სხვა ადამიანებთან კონტაქტს, რათა არ მოხდეს მათი დაინფიცირებაც.

გახსენება

ფრიდონ (ფიდო) ბენაშვილი

შვილო ფიდო, შენი გარდაცვალება მოულოდნელი, თავზარდამცემი, დაუჯერებელი უბედურებაა ოჯახისთვის და ახლობლებისთვის.

ექვსი თვის უნახავო შვილო, შენ შემოგევლოს შენი გაუბედურებული მოხუცი დედა. შენი ბიჭებისთვის გითქვამს, ვერ ვარ კარგადო, რატომ არ გაუფრთხილდი საკუთარ ჯანმრთელობას, სიცოცხლეს. ვაი შენს დედას. მტანჯველია ის სიცარიელე, რასაც შენს გარეშე ცხოვრება ჰქვია. რატომ მხვდა წილად ასეთი სიმძიმის ზიდვა სიბერეში, რატომ წაგვართვა უფალმა შენი თავი. ძალიან მენატრები, ჩემო სიხარულო. შენთან მინდა, შვილო, შენთან. სულ მალე შევხვდებით ერთმანეთს ღვთიურ საიქიოში.

შენი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი არ შუშდება და არც არასოდეს მოშუშდება. ამ ტკივილს ხანდაზმულობა არა აქვს. შენი წასვლით გამოწვეულმა მწუხარებამ გაოგნებული დაგვტოვა ყველა. ოჯახი, სანათესაო, სამეგობრო, სამეზობლო. განსაკუთრებით უჭირს შენს მოსიყვარულე მეუღლეს-დალის, რომელსაც თვალებზე ცრემლი არ შეშრობია, მაგრამ მაინც ყველას ნუგეშად და იმედად ის უძღვება შენს დიდ დანატოვარ ოჯახს. თქვენ ხომ სულ პატარებმა შექმენით ოჯახი და ქვეყანასაც სამი ღირსეული შვილი აჩუქეთ-ორი ვაჟკაცი დათო და გიორგი, ქალიშვილი -ქეთევანი, რომლებიც შენს საფლავს ხშირად სტუმობენ და ცრემლით გითბობენ ცივ სამარეს. შენი პატარა შვილიშვილები კი შენგან დაჩვეული სიყვარულისა და სითბოს ნაკლებობას განიცდიან. თათია უკვე დიდი გოგოა. ოთხი წლის ლაშა კი მხოლოდ შენს საწოლში იძინებს და დაუსრულებლად ელოდება მოსიყვარულე ფიდო პაპის გამოჩენას, მაგრამ... სულ პატარა დაჩის კი მხოლოდ სურათით გააცნობენ შენს თავს.

ასე რომ, ნუ შეგეშინდება, შვილო ფიდო, შენს დატოვებულ კერაზე სიცოცხლე გრძელდება და ნურც ნურასოდეს მოშალოს მაღალმა ღმერთმა.

28 დეკემბერს კი, შენს დაბადების დღეზე მოვალთ შენს საფლავთან, რომელსაც ყვავილებით შეგიმკობთ და ცრემლებით გაგითბობთ, მოგილოცავთ 50 წლის იუბილეს, მაგრამ უშენოდ. შენს სახელზე დანთებული წმინდა სანთლები გზას გინათებდეს მარადიულ სასუფეველში.

კურთხეული იყოს ამქვეყნად ხსენება შენი და იქ კი შენს საყვარელ მამასთან ღირსეული მიღება და განსვენება.

გილოცავთ, გკოცნით, გეფერებით, გვენატრებით, არ გემშვიდობებით, ჩვენო საყვარელო ფიდო!

მწუხარე დედა-იზოლდი, **მეუღლე**-დალი, **შვილები**-დათო, გიორგი, ქეთი. **რძლები**-ქეთი და ელენა, **შვილიშვილები**-თათია, ლაშა, დაჩი.

თამაზ (ბათია) ტუსაშვილი



2006 წლის 22 დეკემბერს დაეშვა სიცოცხლის ფარდა და შენ მარადისობაში გადახვედი. ცხრა წელი, ცხრა გაუსაძლისი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. უფრო გაღრმავდა გულისტკივილი და ნახვის მარადიული სურვილი. უფრო მეტად ძვირფასი ყოფილხარ, ვიდრე გვეგონა.ყოველი დღე უფრო მტკივნეულია და გაუსაძლისი.

წახვედი და დაგვიტოვე უსასრულო სევდა. ღმერთს სასუფეველში რჩეულები მიჰყავსო და ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში შენი წასვლის შემდეგ დავრწმუნდით.

გულმხურვალედ შევთხოვთ უფალს, რომ ნათელში გამყოფოს. ჩვენს მიერ დანთებული სანთლები და ლოცვა-ვედრება გინათებდეს გზას. მშვიდად განისვენე ცათა სასუფეველში და ილოცე შენი ოჯახისთვის.

შენი ოჯახი

რა უნდა გვედოს საახალწლო სუფრაზე და როგორ შევხვდეთ ცეცხლოვანი მაიმუნის წელს

ახალი წლის მოახლოებასთან ერთად ყველას აინტერესებს თუ როგორი წელი იქნება, როგორ უნდა შევხვდეთ ახალ წელს, რა უნდა გავითვალისწინოთ 31 დეკემბრის ღამეს და ასე შემდეგ. ამ საკითხებთან დაკავშირებით გთავაზობთ ყველაზე კომპეტენტურ, საჭირო და საინტერესო რჩევებს, რომელიც მკითხველისთვის ასტროლოგმა **მიხეილ ცაგარელმა** მისცა. თუ როგორ შეხვდეთ 2016 წელს, რათა წითელ მაიმუნს "ვასიამოვნოთ", ამას ჩვენი სტატიიდან გაიგებთ, თუმცა ყველაზე მთავარია რჩევები შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად გაითვალისწინოთ, რომ შედეგი წარმატებული იყოს.

მიხეილ ცაგარელი: ცეცხლის სტიქიის მაიმუნის წელი, სამოც წელიწადში ერთხელ მოდის და ის, სწორედ ახლა, 2016 წელს დგება. გაითვალისწინეთ, რომ მოულოდნელობით აღსავსე და ცვლილებების წელიწადი გველის წინ. მთელი წლის განმავლობაში, მოსალოდნელია, როგორც დადებითი ასევე, უარყოფითი ცვლილებები. 2016 წლის 8 თებერვალს, 18 საათსა და 40 წუთზე, დაიწყება ახალი, ცეცხლის სტიქიის, წითელი მაიმუნის წელიწადი. მაიმუნი, ზოგადად, ხასიათდება ინტენსიური ცვლილებებით საკუთარი მოქმედებების მხრივ და დამახასიათებელი, პიროვნული თვისებებით გამოირჩევა. ასევე, გამოირჩევა გონებამახვილობით, ცბიერებით, თუმცა, მას არ ახასიათებს აგრესია, ომების და რევოლუციების მოწყობის სურვილი.

2016 წელს, ხშირად მოხდება გეგმების და გადაწვეტილებების შეცვლა. ჩინური ასტროლოგიის მიხედვით, მაიმუნის სიმბოლო ერთდროულად განასახიერებს ინ და იან ენერგიებს, სინათლესა და სიბნელეს, სიბრძნეს და სისულელეს. რადგან, 2016 წელი, აქტიური მაიმუნის წელიწადია, ახალ წელს უნდა შეხვდეთ აქტიურად: ცეკვით, სიმღერით, იუმორით, ხმამაღალი სადღეგრძელოებით. ხმაურიან და თამაშის მოყვარულ წლის მბრძანებელს ეს ძალიან მოეწონება. კატეგორიულად გეკრძალებათ ახალი წლის ღამეს, დეპრესიის გამოვლენა.

რაც მტად მხიარულად დახვდებით მაიმუნის წელიწადს, მით მეტად მოიპოვებთ მის კეთილგანწყობას. 2016 წლის რიცხვებია 2 და 9, აქედან გამომდინარე, კარგი იქნება თუ ახალი წლის ღამეს, 12 საათის დადგომამდე ათი წუთით ადრე, დაანთებთ ორ ან ცხრა ცალ წითელ სანთელს. მადლობა გადაუხადეთ გასულ წელს და მის წინ მდგომა ჩაუთქვითთ სურვილი. სანთელი უნდა ენთოს, სანამ თავისით არ ჩაქრება. ყველაზე პოზიტიური ენერგიის სექტორი ბინაში, წელს იქნება თქვენი ოთახის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი და კარგი იქნება, თუ ამ ადგილას მოათავსებთ ნაძვის ხეს და პატარა აკვარიუმს. ნაძვის ხე, უნდა მორთოთ წითელი, ოქროსფერი, შინდისფერი, ყვითელი ან ნარინჯისფერი სათამაშოებით და ფერადი გირლიანდებით. ასევე, ჩამოკიდეთ მასზე ცოცხალი ხილი-ფორთოხალი, მანდარინი, კივი და განსაკუთრებით, არ დაგავიწყდეთ ბანანი, რომელიც მაიმუნს ძალიან უყვარს და მისი დანახვა გაახარებს. ნაძვის ხის ქვეშ მოათავსეთ მაიმუნის გამოსახულება და დეკორატიული, წითელი სანთლები. ასე რომ, დაიხმარეთ კომპასი და იმ ადგილას დადგით და მორთეთ ნაძვის ხე, რომელიც მთელი წელი თქვენს წარმატებებზე იქნება ორიენტირებული. ასევე, მაიმუნის გამოსახულება დადგით სახლის შემოსასვლელი კარის მოპირდაპირე მხარეს, რომ კარში შესულმა, პირველად მას შეხედოთ და ის შემოგეგებოთ.

რაც შეეხება, თუ როგორ უნდა შევიმოსოთ ახალი წლის ღამეს. კარგი იქნება თუ ახალი წელის ღამეს ჩაიცვამთ წითელ, შინდისფერ, ვარდისფერ და ცეცხლის სტიქიიდან გამომდინარე: ოქროსფერ, ყვითელ, ნარინჯისფერ ტანსაცმელს და ისე შეხვდებით დამდეგს. რაც შეეხება აქსესუარებს, შეგიძლიათ გამოიყენოთ ნებისმიერი ფერის და ფორმის დეტალი. საახალწლო მაგიდაზე მეტად გამოიყენეთ ლითონის ატრიბუტიკას და ნაკეთოებებს, მაგალითად სანთლები მეტალის შანდლებში შეგიძლიათ მოათავსოთ და აანთოთ. საახალწლო სუფრაზე აუცილებლად უნდა დადოთ წითელი, ყვითელი ან ოქროსფერი მაიმუნის სათამაშო, მის გვერდით კი აუცილებლად მოათავსოთ თხის სტატუეტკა, რადგან აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, თხის წელი სრულდება 8 თებერვალს. საზეიმო სუფრაზე აუცილებლად უნდა ეწყოს ბანანი, რომელიც მაიმუნს ძალიან უყვარს, ასევე, ანანასი, მზესუმზირა, ავოკადო და სხვა ტროპიკული საკვები. ამასთანავე, უნდა იყოს წარმოდგენილი, ტრადიციული კერძები და სასმელები, მაგალითად, საცივი, ხაჭაპური, სხვადასხვა სალათები, ხორცეული, გოზინაყი, ღვინო, შამპანური, კოქტეილები და ასე შემდეგ. გაფრთხილებთ, რომ სპირტიანი სასმელები უნდა დადგათ მაგიდაზე დასავლეთის მხარეს, ცენტრალურ ნაწილში კი დადეთ ჩირი, თხილი, კაკალი და გოზინაყი, რადგან მაიმუნს ძალიან უყვარს თხილეული. მაიმუნს ძალიან უყვარს ტკბილეული, ამიტომ, ტრადიციული კერძების გვერიდთ, უნდა დადოთ მაგიდაზე ნამცხვრები, შოკოლადები და ასე შემდეგ.

ულოცავენ!

გულო იაკობიშვილს!

ჩვენი გაზეთის ერთგულო მკითხველო, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს შენს მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად. სულ ასეთი ენერგიული ყოფილიყავი სიცოცხლის ბოლომდე. კვლავაც ყველგან სიცოცხლე და ხალისი მიგეტანოს. ღმერთი იყოს შენი და შენი ოჯახის მფარველი.

ვისურვებთ, რომ გაზეთ „შირაქს" ბევრი ჰყავდეს თქვენნაირი მკითხველი და დამფასებელი.

შ.პ.ს. „შირაქის" რედაქციის თანამშრომლები.

მანანა და მოსე ტოკლიკიშვილებს!

გილოცავთ შვილიშვილის, პატარა **მართას** დაბადებას, ახალდაბადებულს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ღვთის წყალობას და ბედნიერ ბავშვობას. დაე, გაიზარდოს ოჯახისთვის და ერისთვის სასახელო გოგონა. ღმერთმა გაგამრავლოთ და შვილიშვილების გარემოცვაში, სიტკბოებაში და ულევ სიხარულში დაგაბეროთ. უფალი გფარავდეთ!

პატივისცემით,
დედოფლისწყაროს N2 ბაგა-ბაღის თანამშრომლები

ელისაბედ შიუკაშვილს!

გილოცავთ შვილების – თეა ყაჭაშვილის და ვახტანგ თევზაძის ქორწინებას. ახლადდაქორწინებულებს ვუსურვებთ ბედნიერებას, მტკიცე ოჯახის შექმნას, სიყვარულს და გამრავლებას. თქვენ კი შვილებში და შვილიშვილებში გახარებას.

პატივისცემით,
ოზაანის საჯარო სკოლის პედკოლექტივი

მადლიერება

სოფელ სამრეკლოს ცენტრში, უკვე წლებია, ეს ადგილი მოუწყობელი იყო და ის ხშირად ნაგვის ბუდედაც იყო ქცეული. თითქმის ყველა ხელისუფლებას ვთხოვდით, ეს ადგილი ლამაზ სკვერად გადაექცია, მაგრამ წლების მანძილზე დაპირება -დაპირებად რჩებოდა. მხოლოდ წელს, ახალმა ხელმძღვანელობამ მიიტანა გულთან ახლოს ჩვენი თხოვნა და სიტყვა საქმედ აქცია.დღეს სოფელს მშვენიერი, პატარა სკვერი ამშვენებს, სადაც ყველა ასაკის ადამიანი სიამოვნებით ისვენებს.

მადლობა გვინდა გადავუხადოთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს ზვიად ჯავახიშვილს, სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს ლევან მაძღარაშვილსა და საკრებულოს დეპუტატს გოჩა სამუკაშვილს იმისთვის, რომ ჩვენი თხოვნა გულთან ახლოს მიიტანეს და პირობაც შეასრულეს.

სოფელ სამრეკლოს სტალინის ქუჩის მცხოვრებლები

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 21.12	სამშაბათი 22.12	ოთხშაბათი 23.12	ხუთშაბათი 24.12	პარასკევი 25.12	შაბათი 26.12	კვირა 27.12
დღე	1°	2°	6°	6°	4°	3°	3°
ღამე	0°	1°	4°	2°	3°	2°	2°

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.